



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 4
25/01/2019

4-09-4-201901251936



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში
„თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის
შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29.01.2018, 010250050.35.163.016386).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ადგილობრივი (ქონების) გადასახდის განაკვეთები“ მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 7.** ქონების გადასახადისგან თავისუფლდება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ფიზიკური პირების საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ სახლებსა და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

